პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №1

ქ.თბილისი 04.02.2015

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

საბა სარიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი (Chemonics International), საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; სხდომის თავმჯდომარე;
ლიანა ზამბახიძე - საჯარო სამართლის კორპორაციის - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბჭოს სხდომის მდივანი;
მაია ჩიხლაძე - ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის პრეზიდენტი; შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას დირექტორის მოადგილე;
მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;
ირაკლი პეტრიაშვილი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე;
მარიკა შიოშვილი - კომპონენტთა შორის პროექტების და დევნილთა საბინაო საკითხების ჯგუფის ხელმძღვანელი (NORC (North Opinion Research Center) at the University of Chicago). პროექტი ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები (USAID/NEO).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ლაშა მარგიშვილი - განვითარების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;
თამარ აფრასიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
ნაზია ქალდანი -სსიპ - პროფესიულ კოლეჯი თეთნულდის ბუღალტერი;
ალინა კუპრავა - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ მომავალის იურისტი;
ნოდარ ბაკურაძე - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ მომავალის წარმომადგენელი;
ზვიად არძენაძე - შპს საერთაშორისო ტურიზმის აკადემიას იურისტი;
ნატალია თოლორაია - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali academy -ს წარმომადგენელი; ქეთი მშვენიერაძე - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali academy -ს წარმომადგენელი;
მანანა მახარაშვილი - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali academy -ს წარმომადგენელი;

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ნოდარ ანგურიძე;
ეკატერინე გიგაშვილი;
შორენა ჯაფარიძე.

შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ლევან მადათოვმა სხდომა გახსნა 14:30 სთ-ზე და დამსწრე საზოგადოებას მოახსენა, რომ სხდომას საბჭოს თავმჯდომარე, ქეთევან ჯაყელი არ ესწრებოდა. შესაბამისად, მის მოვალეობას საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საბა სარიშვილი შეასრულებდა.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის

№99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1.,,შპს - ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 10 მაისის №169 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;
2.სსიპ - პროფესიულ კოლეჯ თეთნულდში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3.შპს საერთაშორისო ტურიზმის აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4.შპს საზოგადოებრივ კოლეჯ მომავლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5.შპს საზოგადოებრივ კოლეჯ Natali Academy-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ლევან მადათოვმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლონა, რომ სსიპ - პროფესიულ კოლეჯ თეთნულდში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის საკითხი წარმომადგენელის სხდომაზე დაგვიანების გამო გადადებულიყო ბოლო საკითხად. ამასთან, ცენტრში წარმოდგენილი იყო შპს საერთაშორისო ტურიზმის აკადემიის იურისტის წერილი, რომლის თანახმად დაწესებულების დირექტორი არ მიმყოფებოდა საქართველოში და ითხოვდნენ საკითხის გადადებას შემდეგი სხდომისათვის.

საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობები.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის ახალი დღის წესრიგი:

1.,,შპს - ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 10 მაისის №169 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;
2.შპს საზოგადოებრივ კოლეჯ მომავლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3.შპს საზოგადოებრივ კოლეჯ Natali Academy-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4.სსიპ - პროფესიულ კოლეჯ თეთნულდში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1.„შპს - ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 10 მაისის №169 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

ლევან მადათოვმა საბჭოს სხდომაზე გამოაქვეყნა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 10 მაისის №169 გადაწყვეტილება, რომლის თანახმად შპს - ინტერბიზნესის აკადემიას მოპოვებული ჰქონდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 20 ნოემბრის №28 გადაწყვეტილებით შპს - ინტერბიზნესის აკადემიას მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ერთი და იგივე იურიდიულ პირს არ შეიძლებოდა ჰქონოდა ორი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უნდა მომხდარიყო შპს - ინტერბიზნესის აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის გაუქმება და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 10 მაისის №169 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭსყრაზე დააყენა„შპს - ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 10 მაისის №169 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „შპს - ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 10 მაისის №169 გადაწყვეტილება.

2.შპს საზოგადოებრივ კოლეჯ მომავლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა დაწესებულებაში მყოფმა ავტორიზაციის ექსპერტმა - შორენა ჯაფარიძემ. მან აღნიშნა, რომ ვიზიტისას ხარვეზები არ გამოვლენილა და შესაბამისად, ექსპერტთა დასკვნაში არც შენიშვნა არ დაფიქსირებულა. ერთადერთი მითითება, რის შესახებაც ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას ვიზიტის ფარგლებშივე განუცხადა, განათლების აღიარების წესს და პროცედურის დაზუსტებას შეეხებოდა, რომელიც დაწესებულებამ ვიზიტის მიმდინარეობისას გაითვალისწინა.

მცირე ბიზნესის მწარმოებლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროფესიას განვითარებულ ქვეყნებში გადამწყვეტი როლი ენიჭებოდა.
სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა მცირე ბიზნესის მწარმოებლის პროფესიული საგანმანათებლო პროგრამით და კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რა შედეგზე გაჰყავდა და კონკრეტულად ვის მომზადებას ისახავდა მიზნად აღნიშნული პროგრამა. რაზეც, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ პროფესიას განვითარებულ ქვეყნებში გადამწყვეტი როლი ენიჭებოდა. პროგრამა ბიზნესმენების მომზადებას ემსახურებოდა და სტუდენტები შეიძენდნენ ბიზნესის წარმოებისათვის აუცილებელ უნარებს და ისწავლიდნენ ფინანსური წყაროს სხვადასხვა გზებით მოძიებას.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ პედაგოგების კვალიფიკაციით, რაზეც ექსპერტმა აღნიშნა, რომ პედაგოგთა კვალიფიკაცია შეესაბამებოდა დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებმა კი პედაგოგთა პროფესიულ გამოცდილებას გაუსვეს ხაზი და დამატებით აღინიშნეს, რომ დაწესებულების თანამშრომლებს 4 წლის მანძილზე ამხანაგობა ჰქონდათ ჩამოყალიბებული და საქმეს ერთად უძღვებოდნენ, ასევე, სხვადასხვა დაწესებულებებში ბიზნესის წარმოებისა და მოწყობის ორგანიზაციასაც ასწავლიდნენ.

საბჭოს წევრი, ირაკლი პეტრიაშვილი დაინტერესდა მოგვარებული იყო თუ არა ის არსებითი ხარვეზები, რის გამოც დაწესებულებას ერთხელ უკვე უარი ეთქვა ავტორიზაციაზე, რაზეც შორენა ჯაფარიძემ განაცხადა, რომ ხარვეზები პრაქტიკის ობიექტის მოთხოვნებთან შესაბამისობასა და დაწესებულების შიდა რეგულაციებს ეხებოდა, რაც დაწესებულებაში სრულად იყო აღმოფხვრილი.

საბჭოს წევრი, მამია ჯანჯალია დაინტერესდა თუ რამდენი სტუდენტის მიღებას აპირებდა დაწესებულება და რამდენად მაღალი იყო მათი სამომავლო დასაქმების პერსპექტივა კონკრეტულ სფეროში.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, არსებული მდგომარეობით, პროფესიულ სასწავლებელს 225 სტუდენტის მიღების საშუალება ჰქონდა. მან დაამატა, რომ კურსდამთავრებულები ძირითადად დეკლარირების სპეციალისტებად დასაქმდებოდნენ და აღნიშნა, რომ პრაქტიკის ობიექტებთან თანამშრომლობის ხელშეკრულებების გაფორმებისას გამოჩნდა აღნიშნულ ორგანიზაციებში დასაქმების პერსპექტივაც. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასაქმებისა თუ პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკით უზრუნველყოფის მიზნით, ვაკანსიის მქონე საწარმოებს უკავშირდებოდნენ, რომლებიც თავად არჩევდნენ, პრაქტიკის გავლის შემდგომ რომელ სტუდენტს დაასაქმებდნენ. საბაჟო დეკლარირების მიმართულებით მომზადებულ სპეციალისტს ბიზნესის სპეციალისტად მუშაობაც შეეძლოთ, ვინაიდან აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები გარკვეულწილად იკვეთებოდა.

მამია ჯანჯალიას კითხვაზე პასუხად, ექსპერტმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფში შემავალი ცენტრის წარმომადგენელი ვიზიტისას 200-მდე სტუდენტის მიღების შესაძლებლობის შესახებ უთითებდა, თუმცა დაწესებულების ფართი 225 სტუდენტსაც დააკმაყოფილებდა, რასაც

ამყარებდა ის არგუმენტი, რომ სპეციალობები, თავიანთი სპეციფიკიდან გამომდინარე, ლაბორატორიულ რესურსს არ საჭიროებდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თითო ჯგუფში 15-20 პროფესიული სტუდენტის განთავსებას მოიაზრებდნენ, თუმცა აუდიტორიების ფართობიდან გამომდინარე, 60 კაციანი ჯგუფების შექმნაც შესაძლებელი იყო. აღნიშნულთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა, მამია ჯანჯალიამ განაცხადა, რომ ერთ ჯგუფში 15-20 პროფესიული სტუდენტი სავსებით საკმარისი იყო, ვინაიდან დიდ ჯგუფებში სასურველ შედეგებზე გასვლა გაჭირდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ მომავლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღდეგი - 0

გადაწყვეტილება
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ მომავალს (ს/კ: 400046623) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 220-ით.

3.შპს საზოგადოებრივ კოლეჯ Natali academy-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, შორენა ჯაფარიძემ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა და დოკუმენტაცია შეესაბამებოდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს დაფიქსირდა ტექნიკური ხასიათის უზუსტობები, კერძოდ:

1. **საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით**

1.1 სტილისტის მესამე საფეხურის სასწავლო პრაქტიკის სილაბუსში წარმოდგენილი დაშვების წინაპირობა სრულად არ შეესაბამებოდა კურსის შინაარსს;

1.2 სტილისტის მეოთხე საფეხურის სასწავლო კურსის „ინფორმაციული ტექნოლოგიები" სილაბუსში გამორჩენილი იყო შეფასების ერთერთი კომპონენტის - „აქტიურობის" შეფასების კრიტერიუმების ჩამონათვალი და ქულათა გადანაწილება;

1.3 სტილისტის მეოთხე საფეხურის „ინგლისური ენის" სასწავლო კურსის სილაბუსის შეფასების კომპონენტების წესის ფორმულირებაში დაშვებული იყო უზუსტობა და არ იყო დაზუსტებული შეფასების ერთ-ერთი კომპონენტის - „აქტიურობა/ყოველდღიური გამოკითხვა", განხორციელების რაოდენობა.

შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ყველა უზუსტობა გამოსწორებულ იქნა ვიზიტის პერიოდში დირექტორის 2015 წლის 20 იანვრის N01 ბრძანების საფუძველზე.

2. **მატერიალურ რესურსთან მიმართებით:**

2.1 არსებულ დოკუმენტაციაზე (შესყიდვისა და იჯარის ხელშეკრულებებზე) დაყრდნობით, დაწესებულებას უდასტურდებოდა მხოლოდ ინვენტარის ნაწილის ფლობა. მაგალითად, არსებულიდან, ჯამში მხოლოდ 38 სკამის მფლობელობა დადასტურდა. დაწესებულების წარმომადგენლებმა გააკეთეს განმარტება, რომ აკადემიაში, ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით, 2014 წლის 31 დეკემბერს გაიცა დირექტორის ბრძანება ბრძანება №15 საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ. აღნიშნულ კომისიაში შევიდა მოწვეული აუდიტორიც. კომისიას დაევალა აკადემიის მფლობელობაში არსებული რესურსების ინვენტარიზაცია და შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენა;

2.2 კოსტავას ქუჩაზე არსებულ ფართზე დაწესებულებას არ გააჩნდა ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, არ იყო მოძრავი ან ფიქსირებული პანდუსი, თუმცა მუშაობდა ლიფტი, საზოგადოებრივი მოხმარებისთვის, ასევე არ იყო ადაპტირებული სველი წერტილი;

2.3 მელიქიშვილის ქუჩაზე განლაგებულ ფართზე, დაწესებულების შესასვლელში არის რკინის პანდუსი. სველ წერტილზე დამონტაჟებულია ხელჩასაჭიდი, თუმცა შესასვლელი ვიწროა. დაწესებულებას ასევე გააჩნია ერთი გაუქმებული სველი წერტილი, არსებულზე ფართო შესასვლელით, რომლის ამოქმედებაც შესაძლებელია.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ახორციელებდა სასერთიფიკატო კურსებს, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო სტატუსის მოპოვების შემთხვევაში მათი სამომავლო განხორციელება აღარ ჰქონდა დაგეგმილი.

საბჭოს წევრი, მამია ჯანჯალია სასერტიფიკატო კურსებსა და პროფესიული სწავლების საფასურით დაინტერესდა. რაზეც დაწესებულების წარმომადგენლება აღნიშნა, რომ ორივე შემთხვევაში სწავლის საფასური 2500 ლარს შეადგენდა. მამია ჯანჯალიამ დაწესებულების წარმომადგენლებს ურჩია, არ გაეუქმებინათ სასერტიფიკატო კურსები, რაც დასაქმების პერსპექტივას შეუქმნიდა მათ, ვისაც საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხური ჯერ დასრულებული არ ჰქონდა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სწავლება არაფორმალური სივრციდან

ფორმალურ სივრცეში გადაჰქონდათ - სასერტიფიკატო კურსები მხოლოდ კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მასტერკლასების სახით შენარჩუნდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, ხელმძღვანელობა მუდმივად მუშაობდა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე და დაამატა, რომ კოლორისტიკას ასწავლიდა ფარმაციის სერტიფიცირებული სპეციალისტი, რადგან კოლეჯის გახსნამდე დაწესებულებამ პრაქტიკოსი სპეციალისტების გადამზადება თავად უზრუნველყო. ასევე, აღინიშნა, რომ პროფესიული სტუდენტები პრაქტიკის დრო განხორციელებული საქმიანობისთვის მიიღებდნენ ანაზღაურებას.

დაწესებულების დირექტორმა განაცხადა, რომ თავის საკუთრებაში არსებულ დიღომში მდებარე ფართზე, რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტებისთვის სასტუმროს ტიპის საცხოვრებილ აშენებას გეგმავდა. მან ასევე აღნიშნა, რომ სტუდენტების მოტივაცია მაღალი იყო, რადგან წარმატებული სტუდენტებისთვის ქსელში არსებობდა დასაქმების პერსპექტივა. ასევე, იგეგმებოდა რეგიონებში „ნატალის" ფრენჩაიზინგი. დამატებით, აღინიშნა საერთაშორისო კონტაქტების, ასევე, ქსელის სასერტიფიკატო კურსებში ჩართული Worldskills-ის სტუდენტების.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს კითხვით მიმართა სპეციალური საგანმანათებლო საჭროების მქონე სტუდენტთათვის ადაპტირებულ გარემოსთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების წამრომადგენელმა განაცხადა, რომ მელიქიშვილის გამზირზე არსებულ ფართის სრული ადაპტირება იგეგმებოდა, ხოლო კოსტავას ქუჩაზე იგივეს განხორციელება არ იყო გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოს წევრებთან შეთანხმებით დაწესებულებას ხსენებული სამუშაოს დასრულებისთვის 15 დღიანი ვადა მისცა, და სთხოვა აღნიშნული სამუშაოს დასრულების შემდეგ ეცნობებინათ ცენტრისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ Natali academy-ისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ Natali academy-ის (ს/კ: 404441895) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60-ით.

4.სსიპ - პროფესიულ კოლეჯ თეთნულდში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნოდარ ანგურიძემ. მან ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტორებზე, რაც მონიტორინგის დანიშვნის საფუძველი გახდა. მან აღნიშნა, რომ კოლეჯის შენობა ორსართულიანი იყო და სართულებს შორის გადაადგილებისთვის დამზადებული იყო მოძრავი ხის პანდუსი. კოლეჯის შესასვლელში არსებობდა კაპიტალური პანდუსი. პირველ სართულზე არსებული სველი წერტილი გამიზნული იყო სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის ადაპტირებული სველი წერტილის გასამართად. ვიზიტის დროს კოლეჯმა წარმოადგინა „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" მიერ 2014 წლის 24 ივლისს დადებული ხელშეკრულება N165/03/126 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომელიც დადებული იყო შპს „გვიბი"-სთან. ხელშეკრულებაზე თანდართულ „შენობის მოსაწყობი სამუშაოების" ნუსხიდან ირკვეოდა, რომ აღნიშნულ ფირმას უნდა განეხორციელებინა სველი წერტილის მოწყობა, თუმცა შპს „გვიბიმ" ვერ უზრუნველყო სამუშაოების ჯეროვანი და სრულფასოვანი შესრულება, რის გამოც, „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" თხოვნით მიმართავდა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის დასადგენად განეხორციელებინა სათანადო ექსპერტიზა. კოლეჯის დირექტორის ვარაუდით, ექსპერტიზის შემდეგ გამოცხადდებოდა ხელახალი ტენდერი შეუსრულებელი სამუშაოების დასრულების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, იყო თუ არა დასრულებული სამუშაოები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პანდუსი დასრულებული იყო, სველ წერტილი კი სათანადოდ იყო მოწყობილი, თუმცა წყალგაყვანილობა ჯერჯერობით ექსპლოატაციაში არ იყო შესული. დაწესებულება ელოდებოდა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნას.

საბჭოს სხდომაზე 15:30 სთ-ზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 16:30 სთ-ზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა სველი წერტილის არსებობის დამადასტურებელი ფოტომასალა, რომლებიც ადასტურებდნენ სველ წერტილზე უნიტაზის და ხელსაბანის არსებობას. თუმცა ადგილზე არ იყო დამონტაჟებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის განკუთვნილი მოაჯირები (ხელჩასაჭიდი). საბჭომ დაწესებულებას პრობლემის მოსაგვარებლად 15 დღე მისცა, რის შემდეგაც დაწესებულებაში უნდა განხორციელებულიყო მონიტორინგი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღდეგი - 0

გადაწყვეტილება
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - პროფესიულ კოლეჯ თეთნულდის (ს/კ: 235891512) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მიღების პერიოდში, დაწესებულებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნის საკითხი არ ჰქონდა მოგვარებული. დღეის მდგომარეობით, საბჭო ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ აღნიშნული სტანდარტის სრული დაკმაყოფილება აღემატებოდა დაწესებულების კომპეტენციას. საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, რომ ოქმის გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში ცენტრში წარმოედგინა კორესპოდენცია ფოტომასალით, რაც დაადასტურებდა ხარვეზის საბოლოო აღმოფხვრას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 16:50 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
საბა სარიშვილი

მდივანი
ლიანა ზამბახიძე